საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაცია

ეთიკის კოდექსი

ეს ეთიკის კოდექსი ეხება საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაციის ყველა წევრს, მათ შორის- სრულ წევრებს, აფილირებულ წევრებს, ასოცირებულ წევრებს თითოეული წევრი უნდა იცნობდეს და აღიარებდეს ეთიკის კოდექსს. საკუთარ საქმიანობაში ასოციაციის წევრებმა უნდა იმოქმედონ ეთიკის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად და ანალიზანდების ინტერესების დაცვა ჩათვალონ უმნიშვნელოვანესად. წესებიდან ნებისმიერი გადახრა შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ დარღვევად. ასოციაციის წევრის მიერ ეთიკის კოდექსის უგულებელყოფას მოჰყვება წევრობის შეჩერება, ან საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაციიდან მისი გარიცხვა.

საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაციის თითოეული წევრი და სტუდენტი, ასევე, არ უნდა იყოს წინაამღდეგობაში საკუთარი პროფესიული ჯგუფის ეთიკის კოდექსთან და იმ რაიონის, სახელმწიფოს, თუ რეგიონის კანონმდებლობასთან, სადაც აქვს პრაქტიკა. ქვემოთმოყვანილი დებულებების მიღება არ უნდა გახდეს იურიდიული- სამოქალაქო, ან სისხლის სამართლის - პასუხისმგებლობის საფუძველი.

I. წევრობა

A. საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაციის თითოეული წევრი და სწავლების კანდიდატი შებოჭილია ამ ეთიკის კოდექსით. საწევროს უწყვეტად გადახდა უბრალოდ ადასტურებს ამ ეთიკური კოდექსისადმი ერთგულებას.

B. ასოციაციის წევრებმა საკუთარ საქმიანობაში უნდა იმოქმედონ ეთიკის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად და ანალიზანდების ინტერესების დაცვა მიიჩნიონ უმნიშვნელოვანესად.

C. წევრები უნდა აღიარებდნენ არადისკრიმინაციულ პოლიტიკას განურჩევლად რასისა, რელიგიური, თუ ეთნიკური კუთვნილებისა, სქესის და სექსუალური ორიენტაციისა.

D. წევრებმა, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა დაადასტურონ საკუთარი კვალიფიკაცია და არ განაცხადონ ან არ მიიწერონ ისეთი კვალიფიაკაცია, რომელიც არ გააჩნიათ.

E. ასოცირებული წევრები და საპატიო წევრები არ არიან იუნგიანელი ფსიქოანალიტიკოსები და არ უნდა მიაკუთვნონ თავი იუნგიანელ ფსიქოანალიტიკოსებს.

F. თითოეული წევრი უნდა გაეცნოს ამ ეთიკის კოდექსს. ამ წესებიდან ნებისმიერი გადახვევა მიიჩნევა სერიოზულ დარღვევად.

II. წევრი/ ანალიზანდი ურთიერთობა

A. ანალიზანდის მიმართ პასუხისმგებლობა:

ცნება „ანალიზანდი“ მოიცავს საკუთარ თავში პაციენტებს, კლიენტებს, სწავლების კანდიდატებს და ასევე, კონსულტაციის მიღების მსურველებს.

1. წევრმა უნდა უზრუნველყოს შესაფერისი, უსაფრთხო და მისაღები სამუშაო გარემო და ნათლად ჩამოაყალიბოს ურთიერთმიმართების საზღვრები. ეს ნიშნავს, რომ:

(a) მკურნალობის დაწყებისთანავე ანალიზანდისთვის გასაგებად უნდა იქნას ჩამოყალიბებული მკურნალობის წესები და პირობები: მაგ., სესიების რაოდენობა, ანაზღაურების საკითხი. წევრმა უნდა უზრუნველყოს ამ წესების და პირობების დაცვა. ანალიზანდი ადექვატურად უნდა იყოს გაფრთხილებული ნებისმიერი ცვლილების, ან დაგეგმილი წყვეტების შესახებ.

(b) წევრი განსაზღვრავს, რამდენად შესაფერისია მისი სამუშაო მიდგომებიკონკრეტული ანალიზანდისათვის და თუკი ამას მოითხოვს ანალიზანდის ინტერესები, უნდა განახორციელოს შესაბამისი გადამისამართება მუშაობის ნებისმიერ ეტაპზე.

(c) წევრი გადამისამართებას პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს და საჭიროების შემთხვევაში, აუხსნას ანალიზანდს გადამისამართების საფუძველი.

d) წევრმა არ უნდა იმუშაოს მასთან ანალიზში მყოფი პირის ნათესავთან, მეგობართან ან სხვა პირთან, ვისაც ანალიზანდთან შეიძლება ქონდეს რაიმე კავშირი.

e) წევრები არ უნდა შევიდნენ ანალიზანდთან რაიმე ფინანსური საქმიანობით განპირობებულ კავშირში, გარდა გათვალისწინებული პროფესიული გადასახადისა.

f) სოციალური კონტაქტი ანალიზის პროცესში ან მის შემდეგ:

(i) თერაპიის დროს, წევრი უნდა ეცადოს, თავი შეიკავოს ანალიზანდთან სოციალური კონტაქტისგან. ასევე, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს სოციალურ კონტაქტს, მასთან, ან მის რომელიმე ნათესავთან დაახლოებას.

(ii) თერაპიის შემდგომ წევრს უნდა ახსოვდეს, რომ ტრანსფერი/კონტრტრანსფერის საკითხები შეიძლება კვლავ გრძელდებოდეს, ამიტომ, თავი უნდა აარიდოს მასთან ყველა სახის სოციალურ კონტაქტს.

(g) ანალიზანდის დაქვემდებარებული/დამოკიდებული სტატუსის ბოროტად გამოყენება; იქნება ეს ფსიქიკური, სექსუალური, ემოციური, პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური ან ფინანსური ბუნების, არ უნდა აღმოცენდეს იმ სემთხვევაშიც კი, თუ ანალიზანდის მხრიდან გამოხატული იქნება სურვილი და აქტივობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მისი

დაქვემდებარებული სტატუსი. მაგალითად, წევრი არ უნდა შევიდეს ანალიზანდთან სექსუალურ კავშირში. ასევე, არაეთიკურია თერაპიული ურთიერთობის შეწყვეტა სექსუალური ურთიერთობის გაგრძელების მიზნით.

2. წევრმა უნდა შეწყვიტოს ანალიტიკოსის პრაქტიკა თუ მას აქვს მძიმე ან ქრონიკული დარღვევები, მაგალითად:

(ა) ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება;

(ბ) ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც აზიანებს მის უნარს, რომ აწარმოოს პრაქტიკა, აგრეთვე შეინარჩუნოს ადექვატური უნარ-ჩვევები და საღი აზროვნების შესაძლებლობა.

ასეთ შემთხვევაში, წევრმა თავისი ანალიზანდები უნდა გადაამისამართოს კოლეგებთან, თავად კი პროფესიული ანდა ფსიქოთერაპიული დახმარებისთვის სხვას მიმართოს.

3.თუ წევრი მხილებულია სერიოზულ კრიმინალურ დანაშაულში, ან არაეთიკურ პროფესიულ ქცევაში, პროფესიული ორგანოს ან სალიცენზიო სააგენტოს მხრიდან, იმ ქვეყანაში, რომელშიც საქმიანობს, მისი ვალდებულებაა შეატყობინოს საზოგადოების პრეზიდენტს მისი სამართლებრივი, პროფესიული, თუ სალიცენზიო გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისი ფაქტების თანდართვით. მან ასევე, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი სამთავრობო დეპარტამენტის ინფორმირებაც.

4.საჭიროების შემთხვევაში, წევრს შეუძლია გაიაროს სამედიცინო და ფსიქიატრიული კონსულტაცია ანალიზანდის შესახებ კონფიდენციალობისა და პრივატულობის დაცვით. პასუხისმგებლობა ანალიზანდის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ეკისრება კვალიფიციურ სამედიცინო პერსონალს.

B. პრივატულობა (Privacy)

პაციენტის, ანალიზანდის და კანდიდატის ანალიტიკური მასალა დაცული უნდა იყოს.

C. კონფიდენციალობა

1. თერაპიულ ურთიერთობაში კონფიდენციალობის დაცვა არსებითია და როდესაც, ინტერესთა კონპლფლიქტი აღმოცენდება, წევრის უპირველესი პასუხისმგებლობაა ანალიზანდის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. გამონაკლისს წარმოადგენს, ისეთი შემთხვევა, როდესაც საშიშროება ემუქრება სამართალდაცვის კუთხით, სარჩელით ან სასამართლო მოითხოვს კონფიდენციალობის დარღვევას, როგორც მაგალითად, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში საჭიროა სხვების დაცვა ორდერით და ა.შ.

2. კონფიდენციალობისა და ანალიზანდის ანონიმურობის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია. სიფრთხილით უნდა მოხდეს კლინიკური მასალის პუბლიკაციაც და სემინარებზე მისი პრეზენტაციაც, განსაკუთრებით თუ ანალიზანდთან მუშაობა გრძელდება. ინდივიდუალურმა წევრმა უნდა იზრუნოს ანალიზანდის უსაფრთხოებასა და ანონიმურობაზე და როცა საქმე ეხება მის შესახებ რაიმე მასალის გამოქვეყნებას აუცილებელია ინფორმირებული თანხმობის მიღება. კეთილგონიერების გამოჩენა აუცილებელია კოლეგებთან პროფესიული კონსულტირების დროსაც.

3. ზემოთ (C (2) პუნქტში) ნახსენები პრინციპების დაცვა აუცილებელია აგრეთვე იმ შემათხვევაში თუ ინდივიდუალურ წევრს სურს ისეთ კვლევაში მონაწილეობა, რომელიც ანალიზანდთან დაკავშირებულ მასალას ეხება. ანალიტიკოსი ვალდებულია, რომ ანალიზანდს განუმარტოს მსგავსი კვლევის არსი და დანიშნულება. კვლევის დაწყებამდე ინდივიდუალური წევრი უნდა დარწმუნდეს, რომ მას აქვს ინფორმირებული და გადამოწმებადი თანხმობა ანალიზანდისგან.

4. ანალიზანდის თანხმობის გარეშე ანალიტიკოსს არ აქვს უფლება, რომ გააკეთოს ანალიზანდის აუდიო და ვიდეო ჩანაწერი, აგრეთვე ვინმეს მიცეს ანონიმურად, ცალმხრივად გამჭვირვალე სარკის საშუალებით მასზე დაკვირვების საშუალება.

5.ანალიტიკოსს ანალიზანდის თანხმობა მაშინაც მოეთხოვაბა თუ მას ჭირდება სხვა სპეციალისტთან კონსულტირება, მაგალითად საერთო პროფილის ექიმთან ან ფსიქიატრთან. არსებობს ზოგიერთი გამონაკლისიც:

(ა) როდესაც ანალიზანდის მხრიდან საკუთარ თავზე, ინდივიდუალურ წევრზე ან მესამე პირზე ძალადობის საშიშროება იკვეთება;

(ბ) როდესაც ანალიზანდს უვითარდება ფსიქოზი და საჭიროა მისი ჰოსპიტალიზება.

6. ინდივიდუალური წევრი ანალიზანდთან მიმართებაში ნებისმიერ დროს იჩენს სიფრთხილეს, მაგალითად, ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ლაპარაკობს მის შესახებ.

7. სტუდენტებთან და ტრეინინგში ჩართულ პირებთან დაკავშირებული კონფიდენციალობა. როდესაც ტრეინინგში ჩართული პირი ანალიზს გადის, ანალიტიკოსს არ აქვს უფლება, რომ სხვა ანალიტიკოსებს ან ასოციაციის წევრებს/ საბჭოს გაუზიაროს რაიმე ინფორმაცია სტუდენტი ანალიზანდის შესახებ, მისი წერილობითი თანხმობის გარეშე. ტრეინინგში ჩართული ანალიზანდის წერილობით თანხმობის გარეშე, ასოციაციის წევრებს/საბჭოს ეკრძალებათ საუბარი სტუდენტთან დაკავშირებულ საკითხებზე თუ ეს ინფორმაცია მათ ფსიქოთერაპევტისგან აქვთ მიღებული (არ აქვს მნიშვნელობა თერაპევტი ასოციაციის წევრია თუ არა). ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია უნდა გაზიარებულ იქნას სტუდენტთან/ტრეინინგში ჩართულ პირთან.

III. რეკლამა და მედიის გამოყენება

A. წევრმა თავისი პროფესიის შესაბამისად ზუსტად უნდა წარმოაჩინოს თავისი კომპეტენცია, განათლება, უნარები და გამოცდილება.

B. წევრებს შეუძიათ სერვისის რეკლამა გააკეთონ. თუმცა, რეკლამირების დროს განცხადებები უნდა მოიცავდეს სახელს, მისამართს, კვალიფიკაციას, პუბლიკაციებისა და საჯარო პრეზენტაციების სახელს, აგრეთვე შეთავაზებული თერაპიის ტიპს. განცხადებები უნდა იყოს აღწერილობითი სახის და არ უნდა მოიცავდეს შეფასებებს. ასოცირებულმა და საპატიო წევრებმა არ უნდა თქვან, რომ ისინი იუნგიანელი ანალიტიკოსები არიან.

C. მედიის გამოყენება არ უნდა გახდეს ანალიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი ჯგუფის ან ზოგადად პროფესიის რეპუტაციის შელახვის საბაბი.

IV. კოლეგებთან ურთიერთობა და პასუხისმგებლობები

A. **წევრმა** არ უნდა თქვას ცუდი, პიროვნული ან პროფესიული კუთხით, თავის კოლეგაზე/ ებზე ანალიზანდის, პოტენციური ანალიზანდის ან ხალხის წინაშე. არაეთიკურია შეგნებულად გაცხადებული ტყუილი კოლეგის შესახებ. შეიძლება საჭირო იყოს კოლეგის გაკრიტიკება, მაგრამ ეს ფრთხილად და სიმართლეზე დაყრდნობით უნდა გაკეთდეს. ნათლად უნდა გამოიკვეთოს რა არის ფაქტი და რა განმცხადებლის მოსაზრება.

B. ჯგუფის წევრი ანალიტიკოსი არ იწყებს ანალიზანდთან მუშაობას თუ იგი ანალიზს სხვა კოლეგასთან უკვე გადის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულზე არსებობს კოლეგის თანხმობა.
C. საჯარო განცხადებების გაკეთებისას ან საჯარო საქმიანობისას ანალიტიკოსს აქვს ვალდებულება, რომ ნათელი გახადოს, იგი მოქმედებს ასოციაციის სახელით თუ დამოუკიდებლად.
D. ასოციაციის წევრმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი კომენტარებისგან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს კოლეგას, ასოციაციას ან პროფესიას. მან უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები თუ კოლეგა ზიანს აყენებს ანალიზანდს, სხვა კოლეგებს, ასოციაციას ან პროფესიას.

E. ანალიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის წევრი ჯგუფის მმართველ საბჭოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიტიკული მსჯელობა იმ ადამიანზე, რომელიც ასოციაციაში გარკვეულ პოზიციაზე უნდა დაინიშნოს. ასეთ შემთხვევაში კომიტეტს აქვს უფლებაცა და ვალდებულებაც, რომ გამართული მსჯელობის შესახებ კონფიდენციალობა შეინარჩუნოს. თავისუფლად უნდა მოხდეს საკითხების განხილვაცა და ფარული კენჭისყრაც. საბჭოში განხილულ საკითხებზე კომენტარები არ უნდა გეკეთდეს, არც სახალხოდ და არც იმ პირთან ვისაც ეხებოდა საბჭოზე გამოთქმული მოსაზრებები.
F. აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ასოციაციის ყველა წევრისთვის გასაგებია წინამდებარე ეთიკის კოდი. იგივე პრინციპები ვრცელდება ტრეინინგის მონაწილეებსა და სტუდენტებზეც, რომელთა განათლებაც საერთაშორისო ასოციაციის წევრი ჯგუფის მიერაა ორგანიზებული.

V. ურთიერთობა ანალიტიკოსსა და სუპერვიზიის ქვეშ მყოფ პირს შორის

ანალიტიკოსმა უნდა უზრუნველყოს, რომ იმ ადამიანმა, რომელიც მისი სუპერვიზიის ქვეშ იმყოფება იცის და იყენებს წინამდებარე ეთიკურ კოდექსს. ანალიტიკოსი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი სუპერვიზიის ქვეშ მომუშავე პირი არ გადააჭარბებს თავისი პროფესიული კომპეტენციის საზღვრებს. სუპერვიზორი, თავის მხრივ, პატივს ცემს სუპერვიზიის პროცესის მთლიანობას და ბოროტად არ გამოიყენებს იმ ავტორიტეტს, რომელსაც მას სუპერვიზორის სტატუსი ანიჭებს. საკუთარი ავტორიტეტის ბოროტად გამოყენების მაგალითებია სუპერვიზიის პროცესში ჩართულ პირთან სექსუალური ურთიერთობა ან მისი ფინანსებით სარგებლობა, სანამ სუპერვიზიის პროცესი მიმდინარეობს (იგულისხმება სუპერვიზიის ქვეშ მყოფი ნებისმიერი პირი, მათ შორის ასოციაციის წევრიც).

VI. პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნება

A. მიმდინარე ტრენინგი

როგორც წესი, წევრებს მოეთხოვებათ კომპეტენტური მუშაობის უნარის შენარჩუნება და ამ მიმართლებით საჭირო ნაბიჯების გადადგმა. აქ იგულისხმება, ჩვენს სფეროში არსებული კლინიკური და თეორიული სიახლეების შესახებ ცოდნის მუდმივად ამაღლებაც. განსაკუთრებით, ყოველი წევრი მუდმივად უნდა იყოს ჩართული მიმდინარე პროფესიულ ტრეინინგებში, სუპერვიზიის, კითხვის ჯგუფებში და პროფესიულ სემინარებსა და ლექციებს ესწრებოდეს. ამ პროცესში, ფუნდამენტური ელემენტია გონივრულად ხშირი მონაწილეობა დისკუსიებში, როგორც წესი, უფრო პრაქტიკოსების ჩართულობით;

კლიენტთა მასალების და კლიენტთა პრობლემების გარჩევით. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არ არის საკმარისი მხოლოდ კითხვა, ან აკადემიური სწავლა. ამგვარი ტექნიკური კონტაქტები კოლეგებთან საშუალებას იძლევა თავი დავიცვათ კონტრტრანსფერული „ თეთრი ლაქების“/ ან „სიცარიელეების“ წარმოშობისგან.

B. ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა

წევრები მუდმივად უნდა ინარჩუნებდნენ კარგ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, საკუთარი კეთილდღეობისა და კლიენტი/პაციენტისათვის საუკეთესო სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

საჩივრების კომიტეტისადმი ანგარიშვალდებულების და მის წინაშე წარდგომის ვალდებულება

A. წევრის ვალდებულებაა მოითხოვოს დახმარება და განაცხადოს არაპროფესიონალური ქმედების შესახებ.

წევრის პასუხისმგებლობაა განაცხადოს საკუთარი არაპროფესიონალური ქმედების შესახებ პრეზიდენტის სახელზე (IAAP-ის წევრი ჯგუფი). თვით-განაცხადი, არანაირად არ ათავისუფლებს წევრს საკუთარი არასწორი ქმედებისთვის პასუხისმგებლობისგან და არ გამორიცხავს საჩივრების კომიტეტის მხრიდან დისციპლინარული ქმედების განხორციელებას, ან ეთიკის კომიტეტისთვის საკითხის გადაცემას.

B. კოლეგის მხრიდან არაპროფესიონალურ ქმედებაზე რეაგირების პასუხისმგებლობა

1. თუკი წევრი შეწუხებულია კოლეგის მხრიდან არაეთიკური ქმედების გამო (და ეს წუხილი გამოწვეულია საფუძვლიანი მტკიცებულებებით), ის პირველ რიგში უნდა გაესაუბროს კოლეგას და სცადოს გაუზიაროს საკუთარი წუხილი მის საქციელთან დაკავშირებით. თუკი ეს შეუძლებელია და/ან საჭიროა კონფიდენციალობის შენარჩუნება, ის უნდა დაუკავშირდეს პრეზიდენტს (IAAP-ის წევრი ჯგუფი).

2. თუკი **წევრის**, კოლეგასთან შეხვედრის შემდეგაც, ეს უკანასკნელი აგრძელებს იგივე ქმედებებს, ან უარყოფს არასწორ საქციელს, ან უარს ამბობს შეხვედრაზე, მაშინ **წევრის** ვალდებულებაა ინფორმაცია მიაწოდოს პრეზიდენტს (IAAP-ის წევრი ჯგუფი).

C. ეთიკის კომიტეტის წინაშე წარდგომის ვალდებულება

თუკი წევრი (IAAP-ის წევრი ჯგუფი) დაბარებულია საჩივარზე პასუხის გასაცემად, რათა განმარტოს ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევა, საჩივრების კომიტეტთან შეხვედრის უარყოფა და კეთილი ნებით თანამშრომლობაზე უარის თქმა გამოიწვევს ცალკე საფუძველს არაეთიკურ და არაპროფესიონალურ ქმედებაში ბრალისთვის. ასეთ შემთხვევაში, კომიტეტმა უნდა მოახდინოს შესაბაისი რეაგირება.

VII. კოდექსის პერიოდული გადახედვა

კომიტეტი პასუხისმგებელია მოცემული ეთიკის კოდექსის პერიოდულად გადახედვაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაციენტების/კლიენტის, წევრებისა და თავად პროფესიის საჭიროებების მუდმივად დაცვა.